თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2024 წლის 23 თებერვლის სხდომის

ო ქ მ ი N 1

2024 წლის 23 თებერვალს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **ლევან გორდეზიანი, ავთანდილ სონღულაშვილი, ქეთევან ხუციშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, ლიანა ბითაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი, ეკა კვაჭანტირაძე, ვაჟა კიკნაძე, ალექსანდრე დაუშვილი, ნინო მინდაძე, სალომე ოქრუაშვილი** საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. **სამეცნიერო პერსონალის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარების დამტკიცება უნივერსიტეტში წარსადგენად;**
2. **განყოფილების ხელმძღვანელების ანგარიში 2023 წლის სამეცნიერო ნაშრომების შესრულების შესახებ;**
3. **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტით - „საზოგადოება, მკურნალი, პაციენტი (ტრადიციული ქართული სამედიცინო სისტემის სოციოკულტურული ასპექტები და თანამედროვეობა)“ (გრანტი FR-19-8876) შესრულებული ნაშრომის განხილვა.**
4. **აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის წარდგენა წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემიაზე.**

ღია კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. სამეცნიერო პერსონალის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარების დამტკიცება უნივერსიტეტში წარსადგენად.

ლავრენტი ჯანიაშვილი: თსუ-დან გამოგზავნილი იყო თვითშეფასების კითხვარი, რომელიც ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალს უნდა შეევსო 2023 კალენდარული წლის მონაცემების საფუძველზე. გაცნობებთ, რომ 46 თანამშრომლიდან შევსებული კითხვარი წარმოადგინა 41-მა. 5 თანამშრომელს წლიური ნაშრომის შესრულების გარდა, გასულ წელს, რაიმე სხვა სახის სამეცნიერო აქტივობა არ ჰქონია.

გთხოთ, განვიხილოთ და შევაფასოთ წარმოდგენილი შევსებული კითხვარები. ანგარიში უნდა გაეგზავნოს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ლევან გორდეზიანმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ავთანდილ სონღულაშვილმა, ეკა კვაჭანტირაძემ და სხვა.
გამოითქვა მოსაზრება, რომ სამეცნიერო მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად აუცილებელია ინსტიტუტის დაფინანსების გაზრდა, რათა: გაუმჯობესდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; სისტემატურად ეწყობოდეს საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციები; თანამშრომლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ფორუმებში, რაც გულისხმობს მონაწილეობის საწევროს გადახდას, მგზავრობისა და ღამისთევის ხარჯების დაფარვას; თანამშრომლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ უცხოურ მაღალრეიტინგულ გამოცემებში ნაშრომების დაბეჭდვის, რაც გულისხმობს სტატიის/მონოგრაფიის თარგმნის, რედაქტირებისა და ზოგჯერ, პუბლიკაციის ხარჯების დაფარვას.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: **მომხრე - 11 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0**.

დაადგინეს: სამეცნიერო პერსონალის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარების მიხედვით, ინსტიტუტის 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა დადებითად შეფასდეს. ანგარიში გაეგზავნოს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

მოისმინეს:

2. განყოფილების ხელმძღვანელების ანგარიში 2023 წლის სამეცნიერო ნაშრომების შესრულების შესახებ.

განყოფილებების ხელმძღვანელებმა სამეცნიერო საბჭოს წარუდგინეს მოკლე ანგარიშები; მათ აღნიშნეს, რომ გასული წლის დეკემბერში განყოფილებების სხდომებზე თანამშრომლებმა წარმოადგინეს ხუთწლიანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტით - „საქართველოს საზღვრები“ გათვალისწინებული, 2023 წელს დაგეგმილი სამეცნიერო ნაშრომები. თემები შესრულებულია და ნაწილი ელექტრონული სახით უკვე გადაგზავნილია ინსტიტუტის კანცელარიაში, დარჩენილი ნაწილი კი, თვის ბოლომდე გაიგზავნება.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ავთანდილ სონღულაშვილმა, ლევან გორდეზიანმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ლიანა ბითაძემ და სხვა.

დაადგინეს: ცნობად იქნას მიღებული განყოფილების ხელმძღვანელების ანგარიში 2023 წლის სამეცნიერო ნაშრომების შესრულების შესახებ.

მოისმინეს:

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტით - „საზოგადოება, მკურნალი, პაციენტი (ტრადიციული ქართული სამედიცინო სისტემის სოციოკულტურული ასპექტები და თანამედროვეობა)“ (გრანტი FR-19-8876) შესრულებული ნაშრომის განხილვა.

გრანტის ხელმძღვანელმა - **ნინო მინდაძემ** სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტით - „საზოგადოება, მკურნალი, პაციენტი (ტრადიციული ქართული სამედიცინო სისტემის სოციოკულტურული ასპექტები და თანამედროვეობა)“ შესრულებული ნაშრომი, რომელიც დასრულდა მიმდინარე წელს. მან მოკლედ მიმოიხილა შესრულებული სამუშაო.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ლავრენტი ჯანიაშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა და სხვა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: **მომხრე - 11 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0**.

დაადგინეს: აღნიშნულ ნაშრომს მიეცეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გრიფი და დაიბეჭდოს გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

მოისმინეს:

4. აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის წარდგენა წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემიაზე.

ლავრენტი ჯანიაშვილი: ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და ადმინისტრაციას სურვილი გვაქვს წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემიაზე, რომელიც ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის ქართველოლოგიურ ჟურნალ „პრო გეორგიას“ ინიციატივით არის დაწესებული, 2024 წელს წარვადგინოთ აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი (1999-2006 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი).

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ალექსანდრე დაუშვილმა, ნინო მინდაძემ, სალომე ოქრუაშვილმა, ლიანა ბითაძემ და სხვა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: **მომხრე - 10 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 1**.

დაადგინეს: აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი 2024 წელს წარდენილი იქნას წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემიაზე.

სხდომამ დაადგინა:

1. სამეცნიერო პერსონალის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარების მიხედვით, ინსტიტუტის 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა დადებითად შეფასდეს. ანგარიში გაეგზავნოს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

2. ცნობად იქნას მიღებული განყოფილების ხელმძღვანელების ანგარიში 2023 წლის სამეცნიერო ნაშრომების შესრულების შესახებ.

3. აღნიშნულ ნაშრომს მიეცეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გრიფი და დაიბეჭდოს გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

4. აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი 2024 წელს წარდენილი იქნას წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემიაზე.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: ლავრენტი ჯანიაშვილი

საბჭოს მდივანი: ლიანა ბითაძე

23. 02. 2024

დანართი I

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო
საბჭოს 2024 წლის 23 თებერვლის სხდომას
ესწრებოდნენ მთავარი მეცნიერი
თანამშრომლები:

გიორგი ჭეიშვილი

ლევან გორდეზიანი

მარიამ ჩხარტიშვილი

ავთანდილ სონღულაშვილი

ქეთევან ხუციშვილი

როლანდ თოფჩიშვილი

ლიანა ბითაძე

გიორგი ქავთარაძე

ვახტანგ გოილაძე

ეკა კვაჭანტირაძე

ვაჟა კიკნაძე

ელდარ ბუბულაშვილი

ნიკოლოზ ჯავახიშვილი

წინო მინდაძე

ხათუნა იოსელიანი

სალომე ოქრუაშვილი

ლავრენტი ჯანაშვილი

ალექსანდრე დაუშვილი